№ 107 მაისი 26, ოთხშაბათი 1893 მაისი 26, ოთხშაბათი № 107


| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური


# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებით დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის [illegible] ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზ[illegible] ლში; წერა-კითხვის [illegible] დოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893

## „ი ვ ე რ ი ა“

გამოდის 1893 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1893 წლისათვის, მიჰმართოს.

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გას ლერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის ხვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის აკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

---

უკანასკნელს კრებაზედ ქართველთა ამხანაგობის გამომცემელ საზოგადოებისა ერთი პატივცემული ქართველი, მსურველი წევრად შემოსვლისა, ულმობელად კენჭის ყრით გაშავებულ იქმნა.

რადგანაც ასეთი გადაწყვეტილება ამხანაგობისა არ ეშესაბამება ჩემს რწმუნებას, ამიტომ, თუმცა გულის ტკივილით, მაგრამ იძულებული ვარ უარი განვაცხადო ამხანაგობის წევრობაზე და გავყიდო ჩემი პაი. მსურველთ მიჰმართონ „ივერიის“ რედაქციაში.

ეგნატე ხრამელაშვილი

(2—1)

---

ტფილისი, 25 მაისი

ფულის გამსესხებელთა სიხარბეს დაუდგა უკანასკნელი ჟამი. ბ-ნ იუსტიციის მინისტრს უკვე შეუმუშავებია ახალი კანონ-პროექტი, რომელსაც მალე გაარჩევს სახელმწიფო საბჭო. ამ კანონის ძალით უზომო სარგებლის გადახდევინება დევნილი იქნება ამიერიდან არა სამოქალაქო წესით, არამედ როგორც სისხლის სამართლის დანაშაულობა.

საზოგადოება, დიდი ხანია, გრძნობდა ამ კანონის საჭიროებას და მოსალოდნელიც იყო, რომ მთავრობა შელაგმავდა ფულის გამსესხებელთა მძვინვარე მადას. 120 და 240 სარგებელი თავნზე სრულიად არა ყოფილა იშვიათი შემთხვევა, და 60—100-ზე ხომ დიდი დავალება და მეგობრობის ნიშანი იყო ფულის გამსესხებელთაგან მსესხებელთა მიმართ. აქამდის საზოგადოება და მართებლობაც გულხელ-დაკრეფილი შესცქეროდა ჩარჩების ნავარდობას მათ გაჭირვებულ მსვერპლებზედ და ვერასფერს ვერ შველოდა ამ საბრალოთ. კანონის მხრით ფულის პატრონები შეუვალნი იყვნენ და, რაც დრო მიდიოდა, უფრო და უფრო მეტს სითამამეს იჩენდნენ.

ვინც ას ან ორას თუმანს იშოვიდა და დაუწყებდა გასესხებას, წლიური შემოსავალი იმდენი ექნებოდა, რამდენიც მომრიგებელ-მოსამართლეს, ან მაზრის გამგებელს.

სიმრავლე ფულისა სრულიად არა ჰმატებდა ქვეყანას სიმდიდრეს, რადგანაც სასარგებლო წარმოებაზედ-კი არ იხარჯებოდა, არამედ ეძლეოდა სესხად იმათ, ვისაც საჭიროება ჰქონდა, და სიკეთის მაგიერად ფულის სიმრავლეს სიავე მოჰქონდა.

კრედიტი სასარგებლოა და სასურველი მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი იაფად იშოვება და როდესაც ნასესხი თავნი, უთუოდ, სასარგებლო წარმოებისათვის არის მოხმარებული.

წინააღმდეგ შემთხვევაში კრედიტი მავნებელი საქმეა და იმისთანა წარმოუდგენელ გარემოებაში, როგორიც ჩვენშია, სრულიად დამღუპველია.

ეხლა, მადლობა ღმერთს, ბოლო მოეღო ამ შემაძრწმუნებელ მდგომარეობას და აწ ფულის პატრონები გაფრთხილდებიან, თუ არა ჰნებავთ შორის ქვეყნებისაკენ გამგზავრება.

აი, ის კანონიც, რომლის დამტკიცებას მინისტრი საჭიროთა სთვლის. „დამნაშავეა უზომო სარგებლით ფულის გამსესხებელი: 1) როდესაც პირობა გასესხებისა სამძიმოა მსესხებლისთვის. 2) როდესაც დაფარული იქნება რაოდენობა ფულის სარგებლისა და ერთად თავნთან ჩარიცხულ გაზვიადებული სარგებელი, ანუ აღმოჩნდება სხვა რამ ბოროტ-მოქმედება. ამ შემთხვევაში ფულის გამსესხებელი მოვახშე (ростовщикъ) დატუსაღებულ უნდა იქნას ციხეში 2 თთვიდან 16 თთვემდე.

ამ ნაირსავე სასჯელს მიეცემა ისიც, ვინც განზრახ იშოვნის ამ გვარს სესხის დამამტკიცებელ საბუთს, ანუ წარადგენს გადასახდელად, ანუ გადაახდევინებს“.

„ხოლო იმას, ვისაც დაუმტკიცდება, რომ „მევახშეობა“ ხელობად აქვს გადაქცეული და უზომო სარგებელს იღებს, ჩამოერთმევა ყოველი პირადი და შთამომავლობითი უფლება და ღირსება და გაგზავნილ იქნება სადმე უშორეს ქვეყნებში“.

„სარგებლის რაოდენობა 100-ზე წელიწადში 12-ზე მეტი არ უნდა იქმნას. ყოველი პირობა, მევახშესთან შეკრული, ცნობილ იქნება უკანონოდ და მსესხებელს ეძლევა უფლება დაიბრუნოს თავნი, ხოლო სარგებელი-კი უნდა იქმნას გამორიცხული“.

ეს ახალი კანონი იმითი არის განსხვავებული წინანდელზედ, რომ ამიერიდგან მსესხებელ-გამსესხებლის საქმე, როდესაც-კი ფულის ამღები ისურვებს, სისხლის სამართლის წესით იქმნება გარჩეული და პროკურორი, როგორც კარგი მობურთავე, შუაში ჩაერევა მომჩივან-მოპასუხეს შორის. ხშირად მოხდებოდა, რომ ფულის ამღებს რცხვენოდა და არ იკადრებდა ნამდვილის გარემოების თქმას. აწ ეს საშიში აღარ იქმნება, რადგანაც თითონ სამართალი მიიღებს პირდაპირ მონაწილეობას და, ბევრსაც რომ ეცადოს მსესხებელი გადაარჩინოს მოვალე სასჯელის მაინც აღარასფერი გაუვა, რაკი დამტკიცებული იქნება იმისი ბოროტ-მოქმედება.

ამას შემდეგ, იმედია, ფულის პატრონები ისეთს საქმეს გაიჩენენ, რომელსაც ცოტა მაინც ჯაფა დასჭირდება. ვისაც-კი იმოდენი თავნი ექმნება, რომ 12 სარგებელი 100-ზე ეყოფა შემოსავლად, იმათ შეეძლებათ ძველ ხელობას თავი არ დაანებონ და უშიშრად გაუმართონ ხელი ფულით გაჭირვებულს ხალხს.

მეველე

---

## ახალი ამბავი

*** მოგვყავს სია „წერა-კითხვის გამავრცელებელ“ საზოგადოების ალეგრის სასარგებლოდ შემწირველთა:

უგანათლებულესმა კნ. პრასკოვია ვიტგენშტეინმა—ძვირფასი ყუთი ხელსაქმისთვის და პატარა ხელოვნური შირმა.

კნ. სალომე სვიმონის ასულმა ჯანდიერმა წმინდა კაკლის ჩუქურთმით გაკეთებული ორი რამკა და ორი პატარა ახალის ვერცხლის ხანჯალი.

კნ. მარიამ ვახტანგის ასულმა ორბელიანმა ერთი ძვირფასი ბროლის გიდელა და ლიკიორის სრული იარაღი, ორი ყუთი და წიგნის გასაჭრელი ძვლისა.

კნ. ქეთევან ირაკლის ასულმა ამილახვარმა—ოთხი ვაზა ყვავილებისთვის.

ქ-ნმა მაგდან პეტრეს ასულმა ოსეცკისამ—სამი ფარფორის ჩაის ფინჯანი.

მარიამ ნიკოლოზის ასულმა, გენერალის მეუღლემ, კნიაჟნამ მუხრანსკისამ,—თორმეტი კაცის ჩაის პრიბორი და ლამფა აბაჟურით.

ქ-მა ეკატერინე ლეონარდის ასულმა კნინამ—ნაკერი ბალიში, ბეჭდების ვაზა და ბონბონიერკა.

ქ-ნმა ნინა გრიგოლის ასულმა—ჩაის ფინჯანი.

ქ-მა ნინა სვიმონის ასულმა ლოლობერიძემ შეაგროვა ქუთაისში სხვა-და-სხვა ნივთები, ღირებული 30 მ.,

ქ-ნმა ქეთევან შალვას ასულმა ჟურულისამ და ნინო მაქარაშვილისამ შე-

---

# ფელეტონი

## ფეჩეია

(შემდეგი *)

### VII

იმ ღამეს, როცა მაკა საკუჩნაო ოთახში შევიდა, სადაც ფეჩეია იწვა ხოლმე, შემდეგი სურათი წარმოუდგა თვალ-წინ: ზანდუკი, რომელშიაც ფეჩეიას ტანისამოსი და სხვა-და-სხვა წვრიმალი ეწყო, თავ-დაღმა გადმობრუნებული ეხო; იატაკი სავსე იყო ფეჩეიას ტანისამოსით და სხვა ფალას-ფულასით; სტოლზედ ეგდო მაკას ნაჩუქარი ბეჭედი, სარტყელი, ქარვის კრიალოსანი და სხვა-და-სხვა ფერის ძივები ყელზედ და მაჯებზედ გასაკეთებელი. თვითონ ფეჩეია თავდაღმა დამხობილიყო ბალიშზედ და არ იძროდა.

მაკა რამდენსამე ხანს გაშტერებული იდგა და მისჩერებოდა ამ სურათს. მერე წყნარის ნაბიჯით მიუახლოვდა და დაადვა ხელი ბეჭზედ.

— ფეჩეია, შვილო, ავად ხომ არა ხარ? ტკბილად უთხრა მაკამ ფეჩეიას.

ფეჩეია მაშინვე წამოვარდა ზეზე და თვალების წმენდით გადაეხვია თავის ბატონს და გამზრდელ დას. სიტყვის თქმა ვერ მოახერხა საბრალომ და ტირილი დაიწყო.

— რა დაგემართა, შვილო? რა იყო, მითხარი, ეკითხებოდა მაკა, რომელმაც იფიქრა, უთუოდ წაუხდენია რამ და ეშინიანო.

— ხომ იცი, შვილო, მე შენ არაფრისთვის არ გაგიჯავრდები.

ფეჩეია ხმას არ იღებდა.

— მითხარი, რა წაახდინე? შენი ჭირი წაუღია, ეუბნებოდა მაკა.

— არა, ბატონო, არა; მე არაფერი არ წამიხდენია, ძლივს ამოიღო ხმა ფეჩეიამ: მე მხოლოდ ერთი სათხოვარი მაქვს შენთან...

— რა სათხოვარი? მითხარი და, თუ ჩემზეა დამოკიდებული მისი შესრულება, დარწმუნდი, შეგისრულებ.

— მე მინდა მონაზონად წავიდე და უარს ნუ მეტყვი, ჩემო ბატონო.

— მონაზონად? გააწყვეტინა მაკამ. რატომ? განა ჩემთან ცუდად ცხოვრობ? მართალია, თომა გავისტუმრე ჩემ სახლიდგან, მაგრამ ეს შენის სარგებლობისთვის მოვახდინე. შენ კარგად იცი, იმას შენზედ ჯვარის დაწერის ნებას არ მისცემდნენ, და არ მინდოდა სახელი გაგტეხოდა.

— ვიცი, ბატონო: მე თვითონ მინდოდა თავიდან მომეშორებინა თქვენი მულისწული, უთხრა ტირილით ფეჩეიამ.

— მერე ეხლა რაღათ შესწუხდი, როცა გაიგე, რომ იმას ჯვარი დაუწერია? მე, კარგა ხანია, შენთვის საქმროს ვეძებ და მხოლოდ შენი უთანხმოება მაჩერებს, თორემ ამდენს ხანს გაგათხოვებდი.

— არა, ბატონო, არა!.. მაგაებს ნულარ მელაპარაკები, მეგთხოვ, ნება მომეცი, რომ მონაზნად წავიდე, ეხვეწებოდა ფეჩეია.

— კარგი, შვილო, შენი ნებაა, მაგრამ რომ ვერ აიტანო მონაზნობა? შენ ჯერ ბავშვი ხარ და ასე უცებ ამისთანა საქმის გადაწყვეტა როგორ შეიძლება? მერე რომ სანანურად გაგიხდეს საქმე და მეც ცოდვაში ჩამაგდო და შენი თავიც, იმისი მეშინია, თორემ, როგორც გინდა, ისე მოიქეცი.

— შენ გენაცვალე, ბატონო, დაიძახა ფეჩეიამ და ჩაუვარდა მუხლებ ქვეშ მაკას.

— კარგი, შვილო, კარგი; შენი ნებაა, უთხრა თვითონაც აცრემლიანებულმა მაკამ და მიიკრა გულში თავისი გაზრდილი.

### VIII

რამდენსამე დღეს შემდეგ ს—ნის ეკკლესიის ეზოს ერთი პატარა სასენაკო კიდევ მიემატა. ეს სასენაკო იყო ფეჩეიასი. მაკამ, რაკი ვერ გადაათქმევინა ფეჩეიას თავისი გადაწყვეტილება, თვითონაც ხელი შეუწყო და ყველაფერი თვითონ მოუმზადა; სახლიც თვითონ მისცა, საჭირო ვეჯიც და საზრდოც დაუნიშნა.

დადგა ფეჩეია სასენაკოში და დაიწყო მონაზნური ცხოვრება, მაგრამ ისეთი-კი არა, როგორც სცხოვრობდნენ სხვა ს—ნელი მონოზნები: საერთო ფეჩეიასა და სხვა მონაზნების ცხოვრებაში ლოცვა და მარხვა იყო. დანარჩენში სრულიად განსხვავდებოდა ფეჩეია სხვა მონაზნებისაგან. ესენი, თუ არ ლოცულობდნენ, ან არ ეძინათ, ისხდნენ უსაქმოდ და, როგორც ყველა ქალი, უბრალო ლაპარაკსა და ჭორიკანობაში ატარებდნენ დროს. ფეჩეია-კი ამ დროს სოფელში იყო და ეხმარებოდა, თუ ვისმე ავადმყოფი ჰყავდა მოსავლელი და თვითონ არ ეცალა. ფეჩეია არ ერიდებოდა არც ერთ გადამდებ სნეულებას და ყველგან მიდიოდა, სადაც-კი საჭიროდ ჰხედავდა თავს. ამ ნაირად ს—ნა და მის ახლო-მახლო მდებარე სოფლები მოიმადლიერა ფეჩეიამ მალე. თუ-კი რომელსამე მარტო-ხელ ოჯახში გახდებოდა ვინმე

*) იხ. «ივერია», № 106.

მოსწირეს: სტაქნის ჩასადგმელი ფრაქეს ვერცხლისა, ვერცხლის ზაპონკები, ოქროს მედალიონი, ვერცხლის კალამი, საჩაიე, ნაკერი ქისა, ატლასის ბაშმაკები, პირსახოცის ჩამოსაკიდი, ლამფის დასადგმელი.

ნიკოლოზ ბესარიონის ძე ლოლობერიძემ: ნუხის ხალიჩა.

ქ-ნ. მარიამ ნიკოლოზის ასულმა ორბელიანისამ—24 საფერფლე.

ბ-ნმა გრ. ე. ნუპაროვმა შესწირა ერთი ბავშვის საბანი.

ბ-ნმა ფრენკელმა შესწირა ერთი თუმნის სხვა-და-სხვა ნივთი.

ბ-ნმა ჰაჯიევმა—სპარსული ხელოვნების ვაზა და ორი სასპიჩქე.

ხელთუბნის სასოფლო სკოლამ შემოსწირა თავისი ნაკეთები, ხუთ თუმნად ღირებული.

ქ-ნ. ნატალია ვახტანგის ასულმა ამირეჯიბმა — ხელოვნურად ნაკერი ბალიში.

ქ-მა ბარბარე თეოფანეს ასულმა— წყლის დასაწმენდი მაშინა.

** კვირას, 23 მაისს, ტფილისის სომეხ—გრიგორიანთა 23 ეკკლესიაში არჩევანები მოხდა დეპუტატებისა (თითო ეკკლესიიდგან სამი დეპუტატი), რომელთაც სომეხთა სასულიერო ნერსესიანის სემინარიის 12 მზრუნველი უნდა აირჩიონ. არჩევანებში დიდ-ძალმა ხალხმა მიიღო მონაწილეობა. სურბ-გევორქის ეკკლესიაში, მაგალითად, არჩევანებს 200 მრევლთაგანი დაესწრო, მოღნინისაში—150-მდე, ვანქის ტაძარში—100 კაცზედ მეტი და სხვ.

არჩევანებზედ ბრძოლა გამწვავდა ერთის მხრივ „მშაკისა“ და მეორეს მხრივ „ნორ-დარისა“ და „არძაგანკის“ მომხრეთა შორის. გაიმარჯვეს „მშაკის“ მომხრეთ, რადგანაც არჩეულ იქმნა 39 მომხრე „მშაკისა“, 26—27 მომხრე „არძაგანკისა“ და «ნორ-დარისა». 3—4 კაციც ისეთნი, რომელნიც არც ერთს ამ გაზეთის დასს არ მიემხრნენ. სხვათა შორის გაიმავ-კენჭეს კანდიდატები: ს. სპანდარიანცი, თ. კ. ბებუთოვი, მურაცამი და გ. ნ. სუნდუკიანცი. თვით არძაგანკის რედაქტორი ა. ა. იონისიანი მესამე დეპუტატად არჩეულ იქმნა იმდენისავე ხმის უმეტესობით, რამდენიდაც მკურნალი მ. ს. შახპარონიანცი. შემდეგ ორივეს კენჭი უყარეს და არჩეულ იქმნა ექიმი მ. ს. შახპარონიანცი.

** ხელმწიფე იმპერატორს მურგაბის მამულის მოურავი იწვევს თავისუფალ ფერშლებს, ვისაც სურვილი აქვს იმსახუროს ამ მამულში, თუ ვინიცობაა იქ ხოლერა გაჩნდა. თხოვნა, რომელშიაც აღნიშნული უნდა იყოს პირობები და ბინა მთხოვნელისა, შემდეგის ადრესით უნდა გაიგზავნოს: Управленіе мургабскимъ Государевымъ имѣніемъ, въ гор. Мервъ.

** საზაფხულოდ ტფილისსა და ხაშურს შუა ივლის კიდევ ორი სახალხო მატარებელი: ერთი ტფილისიდგან ხაშურს გავა შუადღის 3 საათზედ და მეორე ხაშურიდგან ტფილისს ჩამოვა დილის 8 საათზედ და 10 წამ.

24 მაისიდგან ტფილისსა და განჯას შუა დადის კიდევ ორი საქონლისა და სახალხო მატარებელი: № 47 ტფილისიდგან განჯას წავა საღამოს 9 საათ. და 20 წამ. და № 48 განჯიდგან ტფილისს ჩამოვა ღამის 1 საათ. 30 წამ.

** შაბათს, 22 მაისს, ტფილისის გამმიჯვნელ (საზემლემერო) სასწავლებელში ეგზამენები გათავდა. სწავლა დაუმთავრებია 16 მოწაფეს, მათ შორის ოთხი ქართველია: ზედგინიძე, კენია, ქორქაშვილი და ნაცვლიშვილი.

** გუშინდელს ნომერში გვქონდა მოხსენებული, რომ ბაქოელ ქართველთაგან მივიღეთ 57 მანათიო. დღეს კიდევ მოგვივიდა იმავე ქართველთაგან 50 მან.

** ჩვენს გაზეთში უკვე მოხსენებული იყო, რომ ზოგიერთ ამომრჩეველთ საგუბერნიო სამოქალაქო საკრებულოს მიჰმართეს და სთხოვეს, 16 მაისს მომხდარი არჩევანები გაუქმებულ იქმნას, რადგანაც უკანონო იყოვო. თხოვნის საბუთებად მოყვანილია შემდეგი: ყუთებში მეტ-ნაკლებად აღმოჩნდა კენჭები,—917—940; სამოქალაქო ახალ-დებულების ძალით, ამომრჩევლებად არ შეიძლება იყვნენ ღვინისა და არყის ვაჭრები, 16 მაისს არჩევანებზედ-კი ამ ვაჭართ უფლება ჰქონდათ არჩევანებისა. მესამე საბუთიც შემდეგია. არჩევანების დროს საარჩევნო ყუთებზედ მიკრული იყო ქაღალდები, რომლებსაც კანდიდატის გვარის გარდა ზედ ეწერა, რამდენ კაცს ამოურჩევია იგი კანდიდატად. ეს გარემოება საბუთად იმიტომ არის წარდგენილი, რომ Дворцовые номера-ს დასის ზოგიერთ ამომრჩეველთ წერა-კითხვა არა სცოდნიათ და დაურიგებიათ, რომელ ყუთზედაც 400 ეწეროს, იქ თეთრი ჩააგდეთო და რომელზედაც 400 ზედ ნაკლები—შავიო.

გუშინ გუბერნიის სამოქალაქო საქმეთა საკრებულომ ზემოხსენებული თხოვნა განიხილა და 16 მაისს მომხდარი არჩევანები ქალაქის საბჭოს ხმოსანთა უკანონოდ სცნა და გააუქმა.

** გამოვიდა მესამე და მეოთხე წიგნი „შრომა კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებისა“. წიგნში დაბეჭდილია სხვათა შორის შემდეგი წერილები: „ძირტკბილას მოყვანა ბაქოსა და განჯის გუბერნიებში“. ს. ნ. ტიმოფეევისა. „ბამბის მოყვანა ამიერ-კავკასიაში 1892 წელს“. ნ. პ. ტარატინოვისა. «ბრძოლა ფილოქსერის წინააღმდეგ» (თარგმანი ფოექსის წიგნისა) და სხვ.

** 23 მაისს ელისაბედის ქუჩაზე ორის კვირის დაბადებული მიგდებული ბავშვი იპოვნეს და საბებიაო ინსტიტუტში გაგზავნეს.

** 24 მაისს ირზა ყასუმოვი სიმთვრალის დროს ავლაბრის ხიდთან დანით მივარდა დუქანთან მჯდომს გეურქ რაფაელოვს და მოკვლა მოუნდომა, მაგრამ მალე მიუსწრო პოლიციელმა და დანა ხელიდამ წაართვა. დამნაშავე შეიპყრეს.

** ამავე დღეს სოფ. ქალას მცხოვრებელმა სერგეი კარაკოზოვმა მიხეილის ქუჩაზე ოლიმპია ბაიკოვის სახლის გაქურდვა მოიწადინა. მაგრამ მალე შეუტყო პატრონმა. ქურდმა დააგდო წასაღებად მომზადებული ნივთეულობა და სახლის მეორე სართულიდამ გადმოხტა, მაგრამ ისე მძიმედ დაშავდა, რომ წასვლა ველარ შესძლო და იქვე შეიპყრეს. ქურდი სამკურნალოში გაგზავნეს საექიმოდ.

## დაბა სოფელი

(მოწერილი ამბავი)

### Опроверженіе

Печатается на основ. 138 ст. уст. о ценз. и печ.

Въ № 56 газ. Иверіи, въ корреспонденціи изъ м. Хони, приписаны мнѣ такія слова и дѣйствія, которыхъ и тѣни въ дѣйствительности не было. Въ газетѣ сказано, будто я „послѣ долгихъ стараній убѣдилъ учениковъ возвратиться въ семинарію съ тѣмъ, что никто изъ нихъ не будетъ исключенъ и что Директоръ никакого дѣла не будетъ имѣть съ ними до пріѣзда Попечителя“. Напротивъ, и отдѣльно съ учениками, и въ присутствіи пристава я говорилъ ученикамъ: „Никакихъ условій, другой власти, кромѣ г. Директора, не было, нѣтъ и не будетъ въ семинаріи; всѣ будете наказаны и если нужно будетъ, всѣ будете исключены; мѣру наказанія опредѣлитъ г. Попечитель Округа. Безусловное повиновеніе, ничто не будетъ измѣнено. „Уѣзжая изъ м. Хони, послѣ недѣли классныхъ занятій, я вновь повторилъ ученикамъ: „всѣ будете наказаны, заслужить смягченіе наказанія можете только безусловнымъ повиновеніемъ, хорошими успѣхами и поведеніемъ“. Невѣрно и то, будто родители содѣйствовали мнѣ, напротивъ, родители сказали мнѣ: что они не могутъ привести своихъ дѣтей.

Окружной Инспекторъ кавказскаго учебнаго округа Завадскій.

### † თ-დი ნესტორ ალექსანდრის ძე თავდგირიძე

სიკვდილი და დასაფლავება მისი.

15 ამა მაისისას ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ სოფ. აკეთს თავის მამულში გარდაიცვალა ფოთის მოურავად ნამყოფი თ-დი ნესტორ ალექსანდრეს ძე თავდგირიძე, რომელსაც დაწინაურებული საზოგადოება უჩემოდაც კარგად იცნობდა, როგორც ნიჭიერს, უმაღლეს სწავლა-განათლება მიღებულს, გონიერს და ზნეობით წმინდა ადამიანს. ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ განსვენებულს პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთის ენათა ფაკულტეტზე უსწავლია, მაგრამ ჩრდილოეთის სასტიკი ჰავა ვერ აუტანია, რის გამოც ოდესის უნივერსიტეტში შესულა იურიდიულს ფაკულტეტზე. აქ ნესტორ ჩინებულად ამთავრებს სწავლას და ბრუნდება სამშობლო ქვეყანაში. სხვა მის ალაგს, როგორც ბევრის მაგალითებიდამ ვიცით, ვექილობას მოჰკიდებდა ხელს, მაგრამ მას ამ საქმეზე არ ეტანება გული. ის უფრო წმინდა, უფრო უზადო სამსახურს ეძებს და, აი, ახალ-გაზდა იურისტს ვხედავთ ქ. ტფილისს ეგრედ წოდებულ „ტერ-აკოფოვის სასწავლებელში“ მასწავლებლად. შემდეგ განჯაში მსახურებს მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწედ და მომრიგებელ შუა-კაცად. ამ დროს ქუთაისში სათავად-აზნაურო სკოლას აარსებენ. განსვენებული სტოვებს საპატიო ალაგს მომრიგებელ შუა-კაცისას და გადმოდის მასწავლებლად ხსენებულ სასწავლებელში, სადაც ხუთის წლის განმავლობაში ემსახურება ამ წმიდა საქმეს. დასასრულ, 1887 წ. მას ვხედავთ ერთ-ხმად არჩეულს ფოთში ქალაქის მოურავად. სამის წლის შემდეგ თავს ანებებს ამ საქმეს და უკანასკნელ წამამდე თავის სიცოხლისა ცხოვრობს მამაპაპეულ მამულში სოფ. აკეთს, სადაც საზარელი სენი ნელ-ნელა უახლოვებს უდროოდ გათხრილს საფლავს (ამ ჟამად ის იყო 42 წლისა).

სადაც-კი ყოფილა განსვენებული, სადაც-კი უმსახურნია, ყოველგან და ყველასაგან ღრმა პატივისცემა და სიყვარული მოუპოვებია. უამისობა არც-კი შეიძლებოდა, რადგანაც ის შემკული იყო ყველა იმ ღირსებით, რითაც ადამიანი ადამიანობს. გონებით სალი, ზნეობით ფაქიზი, პირდაპირი და მიუფერებელი, დარბაისელი, კარგად მოსაუბრე, შესაფერ დროს ენა-მახვილი და მოსიყვარულე გულის პატრონი ნესტორი ანდამანტივით იზიდავდა კაცს, რის გამოც ნაცნობთა და მეგობართა შორის „ხელის-ხელ საგოგმანებელი“ იყო. ჩვენის

ავად, მაშინვე ატყობინებდნენ ფეჩეიას და ისიც ხშირად წირვა-ლოცვას-კი სტოვებდა და მირბოდა ავადმყოფთან. ცოტა არ იყოს, სწყინდათ ამ გვარი ქცევა ფეჩეიასი სხვა მის ამხანაგებს და ხშირად საყვედურს ეუბნებოდნენ, აგრე ხშირად სოფელში სიარული და მონაზონი გაგონილაო. ფეჩეია ყურადღებას არ აქცევდა მონაზონების სიტყვებს. იმას ახსოვდა ზოსიმეს ლაპარაკი და სცდილობდა, სასარგებლო ყოფილიყო ყოველის გაჭირვებულისათვის, ვის გაჭირვებასაც-კი გაიგებდა.

ამასთანავე ფეჩეია არასფერს არ ჰთაკილობდა; თუ სადმე ან ტირილი, ან ლხინი იქნებოდა, ფეჩეია თამამად მიდიოდა ყველგან; ავსებდა ტომარას სანოვაგითა და მიჰქონდა ს-ნაში მცხოვრებ ღარიბ-ღატაკთათვის. მერე და მერე, როცა ყველამ გაიგო, რომ ფეჩია თავისთვის სრულიად არ ზრუნავდა და რასაც იშოვიდა, საწყალთ და გაჭირვებულთ ახმარებდა, მისვლა დაცვნაც აღარ ეჭირვებოდა ფეჩეიას; ხშირად პირ-იქით უგზავნიდნენ ყველაფერს. ბევრი შეძლებული ს-ნაში მცხოვრები და მდიდარი ვაჭრები ფულსაც-კი აძლევდნენ ფეჩეიას ღარიბებისთვის დასარიგებლად და ფეჩეიაც იმათ აძლევდა, ვინც უფრო გაჭირვებული იყო, ან ავადმყოფისთვის წამლის ფული არა ჰქონდა, ან ბავშვებისათვის ტანისამოსი არ მოეძევებოდა.

ამ გვარად ფეჩეია სოფელ ს-ნაში მცხოვრებ მდიდართა და ღარიბთა შორის შეიქმნა შუა-მავლად, შემაერთებელ ძაფად, და ორივე მხარე მოიმადლიერა; თითქოს ხიდი გაიდვაო ამ ორ მხარეს შორის ფეჩეიას შემწეობით.

### IX

გავიდა რამოდენიმე წელიწადი. მთელ ამ ხნის განმავლობაში ფეჩეია ღირსეულად ასრულებდა ერთხელვე დაწყებულ საქმეს. ბევრი გაჭირვებული დაუხსნია ფეჩეიას სიმშილისა და სიცივისაგან; ბევრი სასიკვდილოდ გადადებული ავადმყოფი მოუბრუნებია თავის მოვლით, ბევრ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილისთვის განუღვიძებია გულში იმედი და ბევრ ურწმუნოსთვის რწმენა აღუძრავს თავისის გრძნობით სავსე სიტყვით და თავ-დაუზოგველის მოქმედებით!

ცხადია, თვითონ ფეჩეიაზედ-კი ვერ იმოქმედებდა კარგად ასეთი გამუდმებული შრომა და ჯაფა, შეერთებული გამუდმებულსავე მარხვასა და ლოცვასთან. მართლაც, მალე დააჩნია კვალი ყველა ამან ფეჩეიას: იგი გახდა, ფერი დაეკარგა, წელში მოიხარა. ლამაზისა და ეშხით სავსე ქალის მაგიერ იყო ეხლა მხოლოდ კეთილი, სუსტი არსება.

ნამეტურ საშინლად მოსტეხა ფეჩეია ერთმა ზამთარმა, როდესაც სოფელში რაღაც საზარელმა სურდოხველამ, ინფლუენცად მონათლულმა, იჩინა თავი და ერთმანერთზედ მიაწყო ხალხი. ოჯახი არ იყო იმისთანა ს—ნაში, რომ რამოდენიმე ავადმყოფი არა ყოფილიყოს; ბევრ ოჯახში მომვლელიც აღარავინ იყო და ყველა გახდა ავად. ხალხი დაფრთხა; მეზობლები ერთმანერთს აღარ ეკარებოდნენ და ბევრი ავადმყოფი მოუვლელობისა და უპატრონობისა გამო ესალმებოდა წუთის-სოფელს. საშინელი ჯაფა დაადგა მაშინ ფეჩეიას: დილას რომ ადგებოდა, რამდენიმე ავადმყოფი უნდა ენახა; ზოგისთვის ცეცხლი დაენთო, ზოგისთვის საჭმელი გაეკეთებინა, ზოგისთვის წყალი და შეშა მიეტანა. ხშირად მთელ ღამეებსაც ვერ იძინებდა საბრალო და საშინელს ქარ-ყინვაში მიდი-მოდიოდა ს—ნის ერთი კუთხიდამ მეორეში. თუმცა ბევრი ავადმყოფი მორჩა იმის შემწეობით მაშინ, მაგრამ ბოლოს თვითონაც გახდა ავად იმავე სნეულებით. თავი მაინც არ დაუდო ავადმყოფობას და იქით-აქეთ სიარულში გაცივდა. გაცივებას ფილტვების ანთება მოჰყვა და ძლივს გადურჩა უბედური სიკვდილს; გადურჩა, მაგრამ რაღა იყო ამისთანა გადარჩენა. ისე დასუსტდა საბრალო, რომ ფეხზედ დგომა უჭირდა. სისუსტეს კიდევ ხველება დაემატა და სულ გაუჭირდა საქმე საწყალს. მხოლოდ ზაფხულის თბილმა დღეებმა მოაბრუნეს და მოაცოცხლეს, მაგრამ თვითონაც კარგად იცოდა და სხვებიც დარწმუნებულ იყვნენ, რომ იმისი დღეები დათვლილი იყო, რომ დიდის ხნის სიცოცხლე აღარ ჰქონდა, ან-კი რად უნდოდა იმისთანა სიცოხლე ფეჩიას, როცა იცოდა, რომ აღარავისთვის სასარგებლო აღარ იყო და მეტი ბარგი შეიქმნა ქვეყნისთვის. ამდენის ხნის განმავლობაში ფეჩია თვითონ უვლიდა მთელს სოფელს და ეხლა-კი თავად შეიქმნა მოსავლელი, ფეჩეია სწუხდა, როცა ჰხედავდა, რომ მასთან სოფლიდან მნახველები მოდიან და მოაქვთ საჭმელ-სასმელი. „ღმერთო ჩემო, ნუ თუ აქავე მივიღებ მე სასყიდელს ჩემის შრომისთვის და სულისთვის აღარაფერი დამრჩება მისაღები? ჰფიქრობდა ფეჩეია.

დუტუ-მეგრელი.

(დასასრული იქნება)

ქვეყნის დაწინაურებული საზოგადოება დიდ პატივსა სცემდა განსვენებულს; ეს, სხვათა შორის, იმითაც მტკიცდება, რომ მის მეუღლეს დიდ-ძალი სამძიმრის დეპეშა მოუვიდა ჩვენის ქვეყნის ყველა დაბა-ქალაქიდამ და ოდესიდამაც-კი. დეპეშებზე ხელ-მოწერილნი არიან ჩვენს ლიტერატურაში და საზოგადო საქმეებში ცნობილნი მოღვაწენი, რომელნიც ერთ-ხმად აღიარებენ, რომ ნესტორის დაკარგვით ჩვენმა ქვეყანამ ერთი საუკეთესო წევრი და ნიჭიერი მამულის შვილი დაჰკარგა.

განსვენებული დაასაფლავეს 18 მაისს. დასაფლავებაზე აუარებელი ხალხი დაესწრო. სხვათა შორის იყვნენ ქ. ქუთაისის და ფოთის წარმომადგენელნი, ნაცნობნი, მეგობარნი და პატივისმცემელნი, დიდ-ძალი თავად-აზნაურობა და მრავალი სამღვდელოება. კუბო შემკული იყო მშვენიერის გვირგვინებითა: ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლისაგან, ქ. ფოთისაგან, ნაცნობთა და მეგობართაგან, გურიის თავად-აზნაურობისაგან და სხვ.; ამ უკანასკნელზე წარწერა იყო:

ვინც ამ სოფლად მოძმეთაგან
სიყვარული მოიპოვა,
დღეს მას ნიშნად დიდებისა
სტირს და იგლოვს ხალხის გროვა.

მრავალი გრძნობით სავსე სიტყვა წარმოითქვა. გურიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა თ-მა სვიმონ გუგუნავამ წაიკითხა ლექსი და სიტყვა წარმოსთქვა. სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე მღ. დ. ჩხაიძემ, თ-მა დიმიტრი ერისთავმა, დათიკო და გრიგოლ გუგუნავებმა, აკეთის სკოლის მასწავლებელმა არსენ წითლიძემ და ლავრენტი წულაძემ *)

### სიტყვა ლ. წულაძისა

„გული კაცისა ძლიერია მხოლოდ მაშინ, როცა განათლებულიაო“ — სთქვა ერთმა ბრძენმა. რა-კი ასეა, ჩვენ ამ თქმიდამ ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ ერიცა და ქვეყანაც მხოლოდ მაშინ არის ძლიერი, როცა ბევრი ნასწავლი და განათლებული კაცი ჰყავს. სამწუხაროდ და სავალალოდ ჩვენდა, ჩვენს ერსა და ქვეყანას არა თუ ნასწავლი და განათლებული კაცი არა ჰყავს ბლომად, არამედ უხეიროდ წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვიც მცირედ მოეპოვება. დიაღ, ჩვენი ქვეყანა ღარიბია განათლებულის და განვითარებულის კაცებით, ჩვენი ერი ღატაკია უანგარო და ეჭვ-მიუტანელ პატიოსნების მქონე ადამიანებით, ჩვენი მამული უპოვარია მხნე და მუყაითის მუშაკებით და ნუ თუ ამის შემდეგ შესაძლოა, ადამიანს არ აუშფოთდეს სული, არ აუჩუყდეს გული და არ აუცრემლიანდეს თვალები, როცა ხედავს ერთს თავის საუკეთესოდ განათლებულსა და განვითარებულს მოძმეთაგანს „უხმოდ და უსულოდ მდებარესა“, რომელსაც გაუმაძღარმა დედა-მიწამ უნდა გაუღოს პირი და უნდა ჩაყლაპოს. დღეს ჩვენ — ეს მტირალთა და მგლოვიარეთა კრებული — სწორედ ისეთს გულსაკლავ სურათს ვუცქერით. ვშორდებით საუკუნოდ ნესტორ თავდგირიძეს, ისეთს კაცს, რომელსაც ბუნებრივ ნიჭთან ერთად უმაღლესი განათლება და განვითარება ჰქონდა მიღებული, რომელიც აღსავსე იყო ეჭვ-მიუტანელის პატიოსნებითა და თავის ერის წარმატების სურვილითა, მაგრამ რომელსაც ულმობელმა სენმა აღარ დააცალა შრომითა და საქმიანობით განეხორციელებინა ყოველივე ის, რისთვისაც მოწოდებულნი არიან საზოგადოდ ამ გვარ ღირსებით შემკული ადამიანები.

ჩვენში თითო-ოროლანი გამოჩნდებიან აქა-იქ ისეთის სულისა და გულის-კაცნი, რომელნიც იმიტომ იღებენ განათლებას, იმიტომ იძენენ ცოდნას, რომ ტვირთ მძიმეთა ტვირთი შეუმსუბუქონ, მამულს ეშველონ და ქვეყანას ეძმონ და როცა შეუბრალებელი სიკვდილი ამ თითოოროლათაგან გვტაცებს მსხვერპლს — ეს მეტად და მეტად აუტანელი ზარალი და დასაკლისია არა თუ ჩვენისთანა მცირე და სუსტის ერისათვის, არამედ უფრო დიდის და ძლიერის ერისათვისაც-კი.

რომ ეს საზარელი სენი და მოსწრაფებული, უდროო სიკვდილი არა, ნესტორისაგან ბევრ სიკეთეს გამოელოდა ჩვენი ქვეყანა, რადგანაც ის ახალგაზრდობიდამვე ქვეყნის სამსახურის სურვილით იყო გამსჭვალული. როცა გურიიდამ ტფილისს ან ქუთაისს მომიხდებოდა მისვლა ამ უკანასკნელს წლებში, ყველა ნესტორის ამბავს მეკითხებოდა, ყველა სწუხდა და ოხრავდა, რომ ნიჭიერი და პატიოსანი კაცი გვეცლება ხელიდამ. ვინ იცის, ეხლაც რავდენი მისი ნაცნობი, რომელთაც აქ ვერ მოუხვდათ მოსვლა და უკანასკნელის სალამის მიცემა განსვენებულისადმი, შორს გულ-ჩათუთქული იცრემლება ამ დასაკლისის გამო.

„მოვედით უკანასკნელი ამბორის-ყოფა მივსცეთ მკვდარსა“ და შევევედროთ ზენას, რომ ჩვენს მამულს, ჩვენს ქვეყანას მრავლად გამოზრდოდეს ნესტორისთანა ნიჭისა და განათლების პატრონნი, სულ-დიდნი, გონება-საღნი და ზნეობით ფაქიზნი მამულიშვილები. საუკუნოდ იყავნ ხსენება შენი, დაუვიწყარო ნესტორ!

---

### სიტყვა თ-დ დიმიტრი ერისთავისა

კიდევ ერთი ახლად გათხრილი ცივი ბნელი სამარე... კიდევ ერთი მსხვერპლი ულმობელის სიკვდილისა... ისედაც მცირე რაზმს ახალის თაობისას გამოაკლდა ერთი უპატიოსნესი განათლებული ახალ-გაზადა კაცი... შესწყვიტა ცემა გულმა, რომელიც გამსჭვალული იყო უღრმესის, უწმინდესის სიყვარულით სამშობლო ქვეყნისა და ერისადმი, რომელიც ფართქალებდა სიხარულით ყოველის მის მიერ წარმატების გზაზე გადადგმულის ნაბიჯის გამო და წუხდებოდა მისის ჭირითა და ვარამით... აღარ სცემს გული პატიოსანი, კეთილშობილი, რომელმაც არ იცოდა, თუ რა არის ბრძოლა მოვალეობასა და პირად გრძნობათა შორის, — იცნობდა მხოლოდ ერთ გზას, გზას პირდაპირს, რომელზედაც დადის მხოლოდ მაღალის სულისა და ზნეობის კაცი... ამ ახლად გათხრილის საფლავის წინაშე სული კვნესის, გული შხამითა და ნაღველით მევსება და მე უნებლიეთ წყევას ვუგზავნი ჩვენს უკუღმართად მორთულს ცხოვრებას, რომელიც ბოროტ დედინაცვალივით არ ინდობს, დასაღუპად იმეტებს თავის უკეთესს შვილთა... ჩვენ წინა დევს მსხვერპლი ამ უკუღმართის ცხოვრებისა, და მის უკანასკნელ ცივ საუკუნო თავ-შესაფარიდან მე თითქოს მესმის ღონე-მიხდილი ყვედრების ხმა: „მე აღარა ვარ, მაგრამ იფიქრეთ მათზედ, ვინც ჩემს ადგილს დაიჭერენ, მე გამწირა ცხოვრებამ, ისინი მაინც შეიწყნარეთ“...

იქნება ეს ბედნიერი დრო დადგეს, იქნება ცხოვრებამ ნამდვილი დედობა გაუწიოს შენს შემდეგ უღელში შებმულთ თანამოძმეთ, იქნება უნაყოფოდ არ ჩაიაროს შენმა „განწირულის სულის კვეთებამ“, მაგრამ ვით დავიბრუნოთ, ძმაო, ის დაუფასებელი საუნჯე გულისა და გონებისა, რომელიც თან ჩაიტანე უდროვო სამარეში?..

---

### სიტყვა არს. წითლიძისა.

ბევრი სიავე ჩაუდენია გონებითს სიბნელეს, უმეცრებას, ბევრი უმანკო სისხლი დაუღვრია; წრესგასულმა სიბრიყვემ თვით ღმერთიც-კი არ დაინდო და მაცხოვარი ჯვარზე გააკრა, ქვეყნის მხსნელს ეკლის გვირგვინი დაუწნა. დიაღ, ბევრი ცოდვა აწევს თავ-აშვებულს სიბრიყვეს და კიდევ უფრო დიდს უბედურებას დაატრიალებდა, რომ განათლებული კაცები არ ედგნენ კრიჭაში და ბუქს არ აყენებდნენ ამის შავს საქმეებს. ამიტომაც ყოველი განათლებული კაცი, საწყალმართო გზაზე გამოსული, სამართლიანად შეგვიძლია, მნათობს შევადაროთ, რომელიც ამ წყვდიადს ებრძვის და რომელიც მთელს თავის სიცოცხლით გვეუბნება: გაიარე აქ, მმობილო, სანამ მე ვაშუქებ, შიში ნუ გაქვს მარცხისა. როცა ამგვარი გზის მაჩვენებელი, ბნელის მანათობელი კაცები ხშირია, როცა სინათლის მომხრეთა ბანაკი მტკიცეა, მაშინ უნამუსობაც ფრთა მოტეხილია და თავისუფლად ველარ დაფარფატობს, ვერ მკის თავის სამკალს. ამიტომაც არის, რომ ყოველის შეგნებულის კაცის გული იმდუღრება, როცა განვითარებულის კაცის უსულო გვამს დასცქერის, როცა სინათლის მომხრეთა რაზმი ერთის კაცით მაინც შეთხელდება. ჩვენც აქ სამგლოვიაროდ შეკრებილთ სრული საბუთი გვაქვს ტირილისა და კვნესისა: ჩვენს წინაშე მდებარეც სინათლის მომხრეთა ბანაკს ეკუთვნოდა და შეძლებისა დაგვარად გვიკვლევდა გზას სიმართლისა და ჭეშმარიტებისაკენ. უეჭველია, თ. ნ. თავდგირიძეც დიდს სარგებლობას მოუტანდა ჩვენს ქვეყანას თავის ნიჭით და სამშობლო ქვეყნის სიყვარულით გამჭვალულის გულით, მაგრამ ულმობელმა სენმა ზედ შუა ხიდზე უსწრო ამ სათნოების მთესველს ადამიანს და უდროდ ჩაუწყვიტა სიცოცხლის ძაფი. ყოველთვის, როცა ამგვარს მიცვალებულს ვხედავთ, საშინელი შავი ფიქრი შეგვიპყრობს ხოლმე. ყველა ჩვენგანი ეკითხება თავის თავს: რად არის ეს უკუღმართი სოფელი ისე მოწყობილი, რომ ყველაზე ადრე პატიოსანი კაცი უნდა მოიჭამოს? რად ბნელდება ყველაზე ადრე იმის მზე, ვინც სხვების გათბობასა და განათლებას ცდილა. დიაღ, ასეთი მწველი ფიქრები გვტანჯავენ, და აუტანელი იქნებოდა ეს სულის ამაშფოთებელი გრძნობა, რომ რაღაც უნებური სიხარული არ გამლევდეს ცოტაოდენს იმედს. გიხარიათ რომ სათნო ადამიანის გვამს სიმართლის, ჭეშმარიტების გზაზე ჰხედავ. ეტყობა, უნამუსობასთან ბრძოლაში გაგმირულა. ერთი შეხედეთ, რა დამშვიდებით განისვენებს! „ჩემი გზა იქით მიდის, საიდგანაც სათნოებას, მოძმის გასაბედნიერებელს საშუალებას გზიდებიანო, გვეუბნება ის: ერიდენით იმ გზას, რომელიც გაკვლეულია მოძმის ჯიბისაკენ, ქონებისაკენ იმის ნამუსის, და სახელისაკენო“. განსვენებულის ერთ საუკეთესო თვისებას სიმართლის მოყვარეობა და ზნეობრივი სიფაქიზე შეადგენდა. არა თუ იმას სხვისი არა შერჩა, სხვის საკუთრებაზე ხელი არ ეტანებოდა, არამედ თავის ნათლარისაც-კი სჩხრეკდა და ეკითხებოდა თავის თავს: სამართლიანი ლუკმა არის თუ არაო. იმის სული იმდენად მაღალი იყო, იმდენად შორს იყო პირადის ანგარიშებისგან, რომ თავის ხელობასაც-კი ეჭვის თვალით უყურებდა: მომაქვს თუ არა სასყიდლის შესაფერი სარგებლობაო. „აბა რა სარგებლობის მოტანა შემიძლია ამ კანონების ცოდნითაო, მითხრა ერთხელ და სამოქალაქო დებულების მეათე ტომზე მიმიშვირა ხელი, — დიდი საქმეა განა, რომელიმე ნივთი ივანეს გამოართვა და გიორგის მისცე? ერთის უბედურობაზე მეორის ბედნიერება ააგო? ნასწავლს კაცს მაშინ დაგიძახებ, ისეთის ცოდნით შეჭურვილი მოხვიდე, რომ დედამიწას გული გაუხსნა, იქიდგან ღვთისგან ბოძებული სიმდიდრე ამოიღო და ივანესაც არგუნო და გიორგისაცაო. უეჭველად ამ გვარს ეჭვს უნდა მიეწეროს ის გარემოებაც, რომ განსვენებული ხელს იღებს იმ საქმეზე, რისთვისაც მომზადებული იყო, მოსამართლის საპატიო ადგილს თავს ანებებს და მასწავლებლობას კისრულობს ქუთაისის სააზნაურო სკოლაში, სადაც გულდადებით წვრთნის თავად-აზნაურთა შვილებს. თუმცა ეს საქმე დიდს და აუტანელს შრომას ითხოვდა, რაც საზარალო იყო მის ჯანმრთელობისათვის, მაგრამ ის რას დაგიდევდა ჯანის სისაღეს, როცა დარწმუნებული იყო, რომ სასარგებლო საქმეს ემსახურებოდა. ბოლოს ის ველარ იტანს ამ შრომას და ხორციელად უძლური, მაგრამ სულით ძლიერი ქ. ფოთის მოურაობას კისრულობს. ამ ხნის განმავლობაში ეს ულმობელი სენი ნელნელა აცურებს თავის მახვილს, უახლოვებს საფლავის პირს ამ პატიოსანს ადამიანს და ესეც არის, უკანასკნელად დაჰკრა სიკვდილის ზარმა. სულით მაღალი, ზნეობით ფაქიზი ნესტორ ალექსანდრეს ძე უძრავად მდებს ჩვენ წინ. განისვენე, პატიოსანო კაცო. ჩვენც სიკვდილის შვილნი ვართ, მაგრამ შევევედრე ღმერთს, რომ ბევრს ჩვენგანს ჩაუდგას შენებრ პატიოსანი სული, ბევრს ჩვენგანს მისცეს შეძლება სული დალიოს იმ ბრძოლის ველზე, სადაც სათნოება ითესება, სადაც ტაციობას, შურს და გაუტანლობას ადგილი არა აქვს. საუკუნოდ იყავ ხსენება შენი!

*) ვბეჭდავთ ზოგიერთს სიტყვას, რადგან ყველა სიტყვის დაბეჭდვა, სამწუხაროდ, გაზეთში ადგილის უქონლობის გამო, არ შეგვიძლიან.

რედ.

---

## უცხოეთი

დეპეშამ უკვე გვაცნობა, რომ ლორდი სალისბერი დიდის ამბით მივიდა ბელფასტში. იმავე დღეს, საღამოთი, სალისბერი დაესწრო უნიის მომხრეთა კრებას და სიტყვა წარმოსთქვა ჰომრულის ბილლის შესახებ. სალისბერიმ სთქვა: ოპოზიცია იმიტომ ეწინააღმდეგება ბილლის დამტკიცებას, რომ ამ ამბავს დიდი უბედურება მოჰყვებაო. ჰომრულიო, სთქვა სალისბერიმ, ხალხის სურვილით არ არის დაბადებული. ჰომრული მოგონილია ერთის კაცის მიერ. საბედნიეროდ, ერთი კაცი ვერ გაიმარჯვებს მთელ ხალხის წინააღმდეგ ბრძოლაში. [illegible] დაამტკიცოს [illegible] ლატის წევრთ ეშინიანთ, ვაი თუ ბილლის დაუმტკიცებლობის გამო პალატა დათხოვნილ იქმნას და ახალ არჩევანების დროს ჩვენ აღარ აგვირჩიონო. მაგრამ დარჩა კიდევ ლორდთა პალატა, რომელიც არაოდეს არ დაამტკიცებს ბილლსა. ოლსტერის მცხოვრებთ უნდა მიჰმართონ მთელ ბრიტანიის ამომრჩეველთ და სთხოვონ, ყოველ გვარი წინააღმდეგობა გაუწიონ ბილლის დამტკიცებასა.

— ლონდონში ამ ჟამად ლაპარაკობენ, რომ დედოფალ ვიქტორიასა და გლადსტონს შორის უსიამოვნება მომხდარა და ამ მიზეზით თუ აიხსნება, რომ გლადსტონი არ დაესწრო იმპერიის ინსტიტუტის დღესასწაულსაო. ამბობენ, ვითომ გლადსტონმა ამას წინად წარუდგინა დედოფალს იმათი სია, რომელთათვისაც, დედოფლის 74 წლის იუბილეის გამო, საჩუქრები ითხოვა. სხვათა შორის, ვითომ ამ სიაშივე მოხსენებული იყო ლორდი სპენსერი. გლადსტონმა სთხოვა დედოფალს, სპენსერს მარკიზობა უბოძეო. დედოფალს ვითომ ამაზედ უარი უთქვამს და გაჯავრებულს გლადსტონს მთელი სია დაუხევიაო.

**ავსტრი-ვენგრია.** წელს ავსტრი-ვენგრიას უნდება სამხედრო ხარჯებისათვის 127,003,828 ფლორინი. ამას გარდა ფლოტისთვის — 12,477,680 ფლორინი. 1884 წლიდამ ავსტრი-ვენგრიის სამხედრო ბიუჯეტმა მოიმატა 27 მილიონი, ხოლო ფლოტის ხარჯმა — 3 მილ. ორთა შუა რიცხვით ამ ათის წლის განმავლობაში სამხედრო ხარჯი ყოველ წლივ მატულობდა 44 მილიონ გულდენს.

---

## წვრილი ამბავი

ქ. ქრისტიანიდგან (სკანდინავია) იწერებიან, რომ ქალაქ ტრონდჰეიმდგან ვერის ხეობას საშინელი უბედურება სწვევია. მაისის პირველ რიცხვებში შუაღამისას მოისმა საშინელი ჭექა. ხალხი ვერ მიხვდა, რა ამბავი უნდა მომხდარიყო. გაეშურნენ ვერის ხეობისაკენ და თვალთ საზარელი სანახავი წარმოუდგათ. ერთის დღის წინად მწვანედ აყვავებულ ველს კაცი ვერ იცნობდა. მთიდგან ჩამოვარდნილს ქვისა და მიწის ზვავს მთელი ველი დაეფარა და მდინარე შეეგუბებინა. მიეშურნენ საშველად, რომ ხალხი გადაერჩინათ, მაგრამ გვიან-ღა იყო. მრავალი გვამი გამოთხარეს მიწიდგან. გადაარჩინეს მხოლოდ ერთი გლეხი ხუთის შვილით. მრავალი ხალხი დაიღუპა.

— 12 მაისს შემაძრწუნებელი ამბავი მოხდა პარიჟში. „Glaciere“-ს ქუჩაზედ ერთი პატარა და სუფთა რესტორანი იყო. ამ რესტორანში ვაჭრობდა კუპე და აქვე ჰყავდა თავისი ცოლ-შვილი. ვაჭრობა კარგად მიდიოდა. ხოლო ბოლოს კუპემ დაიწყო დოღზედ სიარული და ტოტალიზატორზედ თამაშობა და თან უკან წავიდა მისი საქმე. დღითი-დღე უფრო გაიტაცა თამაშობამ და ზედ წააგია თავისი ქონება. 12 მაისს კუპე დაბრუნდა შინ აღელვებული და გაფითრებული, რადგანაც კიდევ წაეგო ფული. ცოლი ამშვიდებდა და ევედრებოდა, დაანებე თავი მაგ თამაშობასაო. მაგრამ

...ეს კუპეს დუქანი დაკეტილი იყო. მაშინვე მეზობლებმა აცნობა პოლიციას. პოლიცია სწრაფად მოვიდა და კარი დაუბრახუნეს კუპეს. შიგნიდგან ხმას არავინ იღებდა. პოლიციამ კარებს მტვრევა დაუწყო. სწორედ ამ დროს გავარდა რევოლვერი. კარი შეამტვრიეს და ნახეს საზარელი სურათი: კარებთან ეგდო მოკლული ქალი, მეუღლე კუპესი... მახლობლადვე ეგდო თვით კუპე ხელში რევოლვერით, ცოცხალ მკვდარი... მეორე ოთახში ეწყო რევოლვერის ტყვიით განგმირული საბრალო ბავშვები კუპესი... ორი უკვე მკვდარი და ერთი ისევ ცოცხალი... ბუხრის თავზედ იპოვნეს 400 ფრანკა ბარათით: „ამ ფულით დაგვმარხეთ“. იმავე ოთახში იპოვნეს მეორე ბარათიც: „მეირფასი თვლები მიანდონია ჩემის დისათვის... მშვიდობით... გვაპატიეთ“. ეს უკანასკნელი სიტყვება ამტკიცებს, რომ ურთი-ერთ თანხმობით დაუწყვეტიათ თავის მოკვლა, თუმცა ქ-ნ კუპეს მცნობნი ამბობენ, რომ ისეთი მოსიყვარულე დედა, როგორიც იყო ქ-ნი კუპე, ვერ იკისრებდა შვილების მოკვლასა...

## წერილები რედაქციის მიმართ

...გიგზავნით ჩემ-მიერ ახალ-ციხის ქართველ ქალთა საზოგადოებაში ხელის-მოწერით შეკრებილს 43 მანეთს და გთხოვთ ეს ფული გარდასცეთ დანიშნულებისამებრ. აი სია შემომწირველთა: ...ოხია ორბელიანისა 3 მ., №№—3 მან., ნინო ყირქესალოვისა 3 მან., ნინო მირიანაშვილისა 1 მან., ეკვენია ასათიანი 1 მან., ეკატერინე ასათიანისა 1 მან., ემილია ასათიანი 1 მან., ნინო ალავიძისა 1 მან., მარიამ ზედგინიძისა 1 მან., ანნა დეკანოზოვისა 1 მან. №—1 მან., ელისაბედ კალატოზიშვილისა 1 მან., ბარბარე სეხნიაშვილისა 1 მან., პელაგია იაშვილისა 1 მან., ...ნათინ ბურჭულაძისა 1 მან., მარიამ ...უტაშვილი 1 მან., ათანასია ფიფიასი 1 მან., ანნა სალარიძე 1 მან., მაიკო ...ჯოვანოვი 2 მან., ბარბარე ბაიბურთელი 1 მან., ანასტასია ხმალაძისა 1 მან., მაგდალინელა კოპაძისა 1 მან., ...თვიო ინასარიძისა 1 მან., ნატალია ...არიძისა 1 მან., მარიამ ათაბეგიშვილისა 1 მან., ანნა ხუციშვილი 1 მან., ...ე ათაბეგიშვილისა 1 მან., კონსტანტინე ფირალოვი 1 მან., კონსტანცია მესაშვილი 1 მან., კ. მეფისაშვილი 1 მან., ემილია ხმალაძისა 50 კაპ., ელისაბედ მიქელაძისა 50 კაპ., ნინო ქსანიშვილოვისა 1 მან., ნინო ბაიბურთელი 40 კაპ., მარიამ ხმალაძისა 40 კაპ., ნინო სანდოძისა 20 კაპ., ეკატერინე ...ისელიშვილი 20 კაპ., ნინო ბუტუშვილისა 40 კაპ., მარიამ დავლაშერიძისა 20 კაპ. ელენე სულხასი 25 კ., ...რია ყარსელიშვილი 15 კაპ., ნატალია ...სონიძე 10 კაპ., ანნა ხახუტაშვილი 1 მან., №—30 კაპ., ანნა ფედოტოვი 40 კაპ.

ნინო მირიანიშვილისა

1893 წ. მაისის 8-სა დღესა.
ქ. ახალ-ციხე.

# დეპეშა

25 მაისი

**მოსკოვი.** სასწაულთ-მომქმედის ...ნასტერი გაქურდეს; მოპარულია საეკკლესიო ნივთები და ფასიანი ქაღალდები, სასულიერო წოდების ლარიბთა და წმ. ნიკოლოოზის ძმობის სამზრუნველოსი, სულ 1,227,000 მანათისა. სასტიკი ღონისძიებანია მიღებული ქურდების აღმოსაჩენად. გამოძიება მიანდვეს ფრიად საგანგებო საქმეთა გამომძიებელს სახაროვს. სახაროვს შველიან გამოძიებაში სამოსამართლო პალატის პროკურორი აკიმოვი და ოლქის სასამართლოს პროკურორი დომერშჩიკოვი.

### პეტერბურგის ბირჟა, 7 მაისი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7,72 | 7¾ | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები | 154 | 155 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | — ,, | 1,06 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მოგები ბილეთი | — ,, | — ,, | 245 |
| —მეორისა | — ,, | — ,, | 222 |
| 4% მესამე სესხისა. | 99⅜ | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი | — ,, | — ,, | 193¼ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6% | — ,, | 101 | — ,, |
| 5% | — ,, | 100¼ | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6% | — ,, | 101 | — ,, |
| 5% | — ,, | 100¼ | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | 97 |

## გამოსადეგი ცნობანი

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო ატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს 52 წ. აღს.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. სად.

**ტფილისსა და განჯას შუა.**

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. სად.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

**ბათუმიდამ გადის:**

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში კ ვ ი რ ა ო ბ ი თ ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

**ბათუმში მოდის:**

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

**ფოთში მოდის:**

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირ, დილით, განთიადისას.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

**ფოთიდგან გადის:**

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლ.ასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც

## ხელ-და-ხელ საჭირო ცნობა

კავკასიის სამხედრო ოლქის სხვა-და-სხვა დაწესებულებანი და კაზარმები თიბათვის 15-დგან მოახდენენ სხვა-და-სხვა დროს საიჯარო ვაჭრობას. იჯარადართ უნდა დაუმზადონ 1894 წლისათვის შეშა და სხვა სათბიაბი და ასანთი ნივთიერებანი. მოგვყავს ის ადგილები და დრო, სადაც და როდის მოხდება ვაჭრობა და სად რავდენი შეშა ან სხვა ასანთ-სათბობი უნდათ.

| | რა უნდათ. | რავდენი | როდის მოხდება ვაჭრობა |
|---|---|---|---|
| | | | თიბათვე. |
| დ. ბორჯომში | შეშა | 54 | 15 |
| ანანაურში | — | 48 | |
| ფასანაურში | — | 46 | |
| დ. ბელიკლიუჩში | — | 454 | 17 |
| ახალქალაქში | — | 98 | 25 |
| ზაქათალაში | — | 100 | 22 |
| შუშაში | — | 98 | 25 |
| | | 188 | |
| ბაქოში | ნავთი | 6304 ფუთი | 21 |
| შემახიაში | — | 73 | 26 |
| | კიზ. | 57 | |
| ერევანში | — | 352 | 26 |
| | კიზ. | 143 | |
| ნახიჩევანში | — | 66 | 28 |
| | კიზ. | 40 | |
| ორდუბათში | — | 52 | 30 |
| გუმბრში | — | 1235 | 18 |
| | კიზ. | 421 | |
| ქუთაისში | ნავთი | 3,400 ფუთ. | |
| | ტყიბ. ნახშირი | 20,000 ფ. | |
| ფოთში | — | 47 | |
| ოზურგეთში | — | 192 | |
| სუხუმში | — | 128 | 26 |
| ბათუმში | — | 165 | |
| | ანტრაციტი | 20,000 ფ. | 18 |
| ართვინში | — | 128 | 25 |
| კაგკავში | — | 95 | 21 |
| მოზდოკში | ანტრაციტი | 114 ფ. | 22 |
| კისლოვოდსკში | ანტრაციტი | 1727 ფ. | 23 |
| ესენთუკში | — | 331 | |
| შურაში | — | 516 | 21 |
| დ. დარუბანდში | — | 117 | 26 |
| გუნში და სხ. | — | 65 | კათათვე 2 |

კისაც სურს რომელსამე ალაგას აიღოს იჯარით შეშისა, ნავთისა თუ სხვა ასანთის დამზადება მომავალ 1894 წლისათვის, შეუძლიან მიჰმართოს კავკასიის სამხედრო ოლქის გამგეობას და იქ შეიტყობს დაწვრილებით ცნობებს იჯარების შესახებ.

# განცხადებანი

### ტფილისის ქალაქის მოურავისაგან.

ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანთა არჩევანები, მომხდარი ამა წლის 16 მაისს, საგუბერნიო ქალაქის საქმეთა საკრებულომ უკანონოდ სცნო და გააუქმა.

ამის გამო და იმავე საკრებულოს დადგინებით, 30 მაისს, დილის 9 საათზედ, სახელმწიფო თეატრის დარბაზში, ინჟენერის ქუჩაზედ, ხელახლად მოხდება საარჩევნო კენჭის ყრა და არჩევა იმ პირთა, რომელთაც საარჩევნო ყუთები ედგათ 16 მაისს.

კრებაზედ შესვლის დროს ამომრჩეველთ უნდა წარადგინონ ის ბილეთები, რომელიც მიიღეს 16 მაისს მომხდარ არჩევანებისთვის.

ვინც მაშინ არ აიღო ბილეთი, შეუძლიან მიიღოს ქალაქის გამგეობაში ყოველ დღე, 30 მაისის დამლევამდე.


## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(გუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

ე. მ. ჩიქოანი, 9—10 საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი, 11½—12½ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის და ცხვირისა.

მ. ზ. ქანანოვი, 12½—1 საათამდის, სნეულებანი: საბებიო და დედათ სქესისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

ა. მ. ფუგინოვი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: ბავშვებისა და შინაგანი.

ი. გ. ჩეპურკოვსკი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: თვალის და გულმკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

ა. ა. გადომსკი, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი), ხორცის კანის და გარეგანი (ხირურგიული).

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ე. ი. ფრანციუსი, 7—7½ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა (ელექტრონით და ზეთვით წამლობა) ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

## მ მ ქ ა რ ხ ნ მ მ ბ ი

ს ა ვ ა ჭ რ ო ს ა ხ ლ ი

## ბენდერ-სტეფანოვი

ტფილისის განყოფილება სოლოლაკ. ქ. სახ. აღაბაბოვისა ისყიდება ყოველ-გვარი ახალ-მოდის ნაწარმოები სარფინკისა, საკუთარ ქარხანაში დამზადებული:

სხვა-და-სხვა ნაირი არშიანი და ახალ მოდის სარფინკები.

ჩესუჩა ტანთსაცმელისათვის.

სარფინკის ტანისამოსი ყუთებით საჩუქრად.

ცხვირსახოცები და თავმოსახვევები.

ნაქსოვი საშემოდგომო იუბკები არშიით.

სარფინკის ფერადი ძაფები ნაძახი ჩულქების საქსოვად.

მზა-მზარეული სარფინკის ტანისამოსი.

პერანგები კაცისა:

„ფანტაზია“ და გახამებული პერანგები.

საცვლები მანდილოსნებისათვის:

პერანგები, კოფთები და კალსონები.

ჩულქები და წინდები სარფინკის ძაფისა.

ქ ა რ ხ ნ ი ს ფ ა ს ა დ, ი ა ფ ა დ. (35—28)

## საკომერციო ცეცხლისაგან დაზღვევის საზოგადოება

დაზღვევა ცეცხლისაგან მოძრავისა და უძრავის ქონებისა.

საagენტო იმყოფება ველიამინოვის ქუჩაზედ, ყიფიანისეულ სანოტარიუსო კანტორის ზემოდ. ღიაა 9—2 საათა-მდე.

(50—22) აგენტი დ. ქ. თუთაევი

## სასაპარელო ესსენცია კოლბერისა

(Essence de Salsepareille Colbert)

საუკეთესო წამალი სისხლის დასაწმენდად

იარლიკზე უნდა იყოს ამომჯდარ ასოებით წითლად დაბეჭდილი

რუსეთის ყველა საუკეთესო აფთიაქებში იყიდება, ხოლო პარიჟში Ph-cie Rogé, 9, rue du guatre Septembre.